ხელოვნება

№ 2. ქუთაისი 1919 წ. ვიოლონჩელისთვის.

ნინო ჩხეიძის ასული

მიხეილ ჭიაურელის ქანდაკება

ჟურნალ „ხელოვნება“-ს რედაქციის ფოტოგრაფია

წინათქმა

დ. კლდიაშვილი	ალ. ყაზბეგის „ელგუჯა“-ს შესახებ
ვ. გაფრინდაშვილი	მსახიობი
ს. ასლანიშვილი	ნინო ჩხეიძის ასული
გ. ლუჩიაშვილი	სამხატვრო ცხოვრება თფილისში
ნ. ლორთქიფანიძე	ალკიბიადესი
ლ. მეტრეველი	სულის აღსარება
დ. ჩიანელი	საქართველოს მასკაოადში
ი. გრიშაშვილი	სველი სადამო
რ. გვეტაძე	1. სინანული 2. პორტრეტი
შ. კარმელი	ერთი დღე ტყეში
ნ. თუმანიშვილი	ლეონარდო—და—ვინჩი
მ. შავარდნაძე	ქუთაისის სამხატვრო საზოგადოება
ლ. მაჭ.	დათიკო ლექავა
შ.	შ. არაგვისპირელი და ვ. ბარნოვი

მხატვრობა ლ. გუდიაშვილის, მ. ჭიაურელის, ნ. თუმანიშვილის.

ქუთაისი

1919 წ. გიორგობისთვე.

ჟურნალი „ხელოვნება“, რომლის მეორე ნომერსაც ჩვენ ვაწვდით მკითხველებს, გაგრძელება არის ჟურნალ „თეატრი და მუსიკა“-სი. როგორც ჟურნალ „თეატრი და მუსიკა“-ს ფურცლებზე ვპირდებოდით მკითხველებს მიგვეწოდებინა მათთვის ხელოვნების ყველა დარგიდან მასალები და ჟურნალი ვიწრო გამომსახველი არ ყოფილიყო მხოლოდ მუსიკა და თეატრისა, სწორეთ ამ გარემოების მიხედვით შეცვლილია აგრეთვე ჟურნალის სახელწოდებაც.

ხელოვნება — აი ჩვენი ცხოვრების ის მნიშვნელოვანი დარგი, რომლის განვითარება და გაფურჩქვნა თავისუფალ საქართველოში ახლო მომავლის საქმედ მიაჩნია ჟურნალ „ხელოვნება“-ს.

ჩვენი თეატრი, მუსიკა, პოეზია, მხატვრობა-მოქანდაკეობა, რომელთაც უმთავრესი ჩვენს სამშობლოში მხოლოდ ახლა ამ თავისუფლების ხანაში გაეხსნა გზა, უკვე განვითარების მკვიდრ ნიადაგზე დადგენ და რასაკვირველია ეს მტკიცეთ დადგმული ნაბიჯი მომავალში უფრო განმტკიცდება. ამის იმედებს გვაძლევს ჩვენ სამშობლოს ნორჩი თავისუფლება, წარსული ორი წელი, უმთავრესათ უკანასკნელი, როდესაც ჩვენ ვიხილეთ საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი — ეს სწორეთ ხელოვნების დღესასწაული თავის დიდებული სანახაობით. ამასთანავე გადავავლოთ თვალი ქართულ მუსიკის, მხატვრობა-მოქანდაკეობის, თეატრის და ახალ მწერლობის განვითარებას და ჩვენ ნათლათ დავინახავთ რომ ხელოვნების ისტორიაში ახალ-ახალი ფურცლები იწერება, რაიც დამამტკიცებელია ამ დარგში ჩვენი განვითარებისა.



შეკარდენთა ვარჯიშობა სტადიონზე

26 მაისობა თფილისში

ჟურნალ „ხელოვნება“-ს რედაქციის ფოტოგრაფია

ქართული ოპერები: ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, მ. ბალანჩივაძის „თამარ ცბიერი“—ეს ხომ ქართულ მუსიკის განვითარებაა, გაევროპიელებაა.

გადავხედოთ ჩვენს ნორჩ მხატვრობა-მოქანდაკეობას, რომელიც ქართველ მხატვართა გამოფენის სახით ვიხილეთ წელს თფილისში: გუდიაშვილი-კაკაბაძე, ფიროსმანაშვილი, თოიძე, ნიკოლაძე და სხვანი თავისი მხატვრობა-ქანდაკებებით განა პიონერები არ არიან ჩვენ ცხოვრებაში.

2

ავიღოთ მწერლობა, რომელიც ჯერ ჩვენ სავსებით არ გვიხილავს გამოუცემლობის გამო. რაც კი ხელთა გვაქვს, სახელდობრ გ. ტაბიძის „Grâne aux fleurs artistiques“, კირჩხიბის გამოცემები „ახალი პოეზიის ანტოლოგია“, ვ. გაფრინდაშვილის „დაისები“ და მრავალი სხვა—ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს აღტაცებით ვიყურებოდეთ იმ კარგ მომავლისაკენ, როდესაც ხელოვნება ჩვენში უაღრეს აყვავებას მიაღწევს და ჟურნალი „ხელოვნება“-ც რასაკვირველია, დასახულ მიზნების განსახორციელებლათ. მუდმივი დარაჯი იქნება ხელოვნების განვითარების გზაზე.

ალ. ყაზბეგის „ელგუჯა“-ს შესახებ.

არა ერთხელ დამიპირებია გადმოცემა საზოგადოებისათვის თვით ალ. ყაზბეგის მიერ ჩემთვის ნათქვამი მისი მოთხრობის „ელგუჯას“ შესახებ. სურვილი დღემდე შეუსრულებელი დამირჩა. ვისაც ქართული ლიტერატურა უყვარს ვგონებ რომ ინტერესს მოკლებული არ იქნება ეს ნათქვამი.

აი რა მიამბო ყაზბეგმა მისი ნაწარმოების შესახებ. „დროების“ ფელეტონში იწყეს ბეჭდვა მისი მოთხრობის „ელგუჯა“-სი. მოთხრობა იყო პაწია, მხოლოდ ის რაც შეადგენს ახლანდელ პირველ თავს და თავდებოდა ელგუჯას სიკვდილით, რომელს მოკლავს, სხვა მოხევეებთან ერთათ, გაგი ჩოფიკაშვილი და რუსის სალდათები ამიჟლეტენ ყველას და ნადირთა საგლეჯათ დაგდებენ დაუმარხავად. აქ თავდება მოთხრობა. როცა ამის აწყობას უნდა შედგომოდენ სტამბაში, ასოთამწყობებმა აწყობაზე უარი სთქვეს და ერთი თავიანთი ამხანაგი გამოუგზავნეს სტამბიდან რედაქციაში ავტორს და შემოუთვალეს რომ მოთხრობას არ ამოვაწყობთო თუ რომ ელგუჯა ცოცხალი არ დარჩა და მის ვაჟკაცობის ამბებს არ განაგრძობო.

1894—XXV—1919

ნინო ჩხეიძის ასული

უკანასკნელი სურათი გადაღებული მაისში 1919 წ.

მიხაილოვის ფოტოგრაფია

ასოთამწყობები არ ურიგდებოდნენ ელგუჯას სიკვდილს, უარს ამბობდენ ფელეტონის ამოწყობაზედ და დაბეჯითებით მთხოვდენო რომ გამეგრძელებინა მისი ვაჟკაცობის ამბებით მოთხრობა. თხოვნა ისეთი გულით იყო ნათქვამი რომ ‘ეც გამიტაცაო და გამოგზავნილს უთხარი ფელეტონისათვის დასასრულის მაგიერათ მოეწერათ „გაგრძელება იქნება“-ო და ამისათვის ცოტაოდნად შევცვალე თავის ბოლო. პატარა სურათი გაიზარდა ვრცელ მოთხრობათ, რომელს ამ შემთხვევით წახალისებული, გატაცებით ვწერდიო. და ყაზბეგი სიყვარულით იხსენიებდა იმ ასოთამწყობებს და ამბობდა რომ მათ დამაწერინეს ჩემი ეს მოთხრობაო.

ერთ ხანს „ელგუჯა“ აკრძალული ნაწარმოები იყო. ცენზურამ ჯერ დართო ნება ცალკე გამოეცათ, მაგრამ როცა ნაწარმოები დაიბეჭდა, აიკინძა და გასასყიდლათ უნდა გამოსულიყო, ცენზორმა გამოცემა დააკავა, აღარ გამოაშვებინა და წაიღო. ყაზბეგმა მოასწრო მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლიარის გადანახვა და ერთი ეგზამპლიარი მუდამ თან დაქონდა ნამალევად.

ერთხელ, მის ბათუმში ყოფნის დროს, შევსჩივლე რომ ვერსაღ ვერ ვიშოვე მისი „ელგუჯა“ რომ წამეკითხნა, მან მითხრა რომ გათხოვებ ჩემს ერთად ერთ გადარჩენილ ეგზემპლიარს, თუ პირობას მომცემ რომ მოთხრობას ღამით წაიკითხავო — ეშინოდა არ წაერთმიათ. მეც რასაკვირველია სიტყვა მივეცი და ორი ღამე მისი კითხვით ვსტკებოდი თან და თან დაიმედებული რომ ვერავინ დამინახავდა მას ხელში, ვერ წამართმევდა და ვერ დამიკარგავდა მისი წაკითხვის საშვალებას.

1919 წ. 12 ივლისი. **დავით კლდიაშვილი**

მსახიობი.

4

მწერალი, რეჟისორი, მაყურებელი და მსახიობი — აი ის კარიატიდები, რომლებსაც ეყრდნობა თეატრი, როგორც რთული ესთეტიური კოლექტივი. ამ ესკიზში მე ვილაპარაკებ მხოლოდ მსახიობზე, რადგანაც ის არის თეატრის ცენტრალური ფიგურა. ცნობილია, რომ უდიდესი დრამატურგები შექსპირი და მოლიერი მსახიობები იყვნენ, გოეტე და იბსენი ხელმძღვანელობდენ თეატრს, როგორც რეჟისორები და ამნაირად სცენა დაკავშირებულია დრამატურგის შემოქმედებასთან. მსახიობი ჩემთვის არის დიდი პსიქოლოგიური და ესთეტიური პრობლემა, რადგანაც იმას უჭირავს ცხოვრების კარნავალში ადამიანთა შორის განსაკუთრებული ადგილი.

ჩვეულებრივი ადამიანი, არა მსახიობი იწვევს ინტერესს, როგორც განსაზღვრული პიროვნება. მსახიობი კი ყოველთვის ფენომენია და მისი დღევანდელი პორტრეტი მხოლოდ მასკაა.

მისი პიროვნება ჩვენს წარმოდგენაში დაკავშირებულია მრავალ გმირების პიროვნებასთან. ამ გმირების მასკები ფარავენ, ხანდახან ანადგურებენ მსახიობის პიროვნებას. უშუალო ინტერესი მსახიობის პიროვნებისადმი შეუძლებელია მაშინაც კი, როდესაც ის სცენის გარეშეა; — ის თითქოს განაგრძობს თამაშს, მისთვის ძნელია საკუთარი „მე“-ს დაბრუნება და მას მისჯილი აქვს მუდამ ატაროს უცხო მასკა. მისი დანიშნულება ხომ იმაშია, რომ უარი სთქვას თავის პიროვნებაზე, თავის პიროვნება გახადოს ფონად და ნიადაგად, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს სხვისი პიროვნება. მსახიობის „მე“ გაფანტულია: თუ დღეს ის მაკბეტია, ხვალ ლირი უნდა იყოს, ზეგ ფაუსტი და ასე დაუსრულებლივ.

ჰეშმარიტი მსახიობი გამლეტად უნდა გრძნობდეს თავს, რომელიც მთლიანობას მოკლებულია, რომლის აქტიორულ ბუნებაში ჭკუა და სიგიჟე მუდმივ ემეზობლებიან ერთმანეთს. ედმონდ კინი გამლეტის თამაშის დროს გადაირია. მიხეილ

კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე

ვრუბელი მთელი თავისი სიცოცხლე ოცნებობდა იმაზე რომ ეთამაშნა გამლეტის როლი. ამ როლს ის ცხოვრებაში ასრულებდა, სერაფიმებით და დემონებით გარშემორტყმული.

სხვისი პიროვნების მითვისება ხშირად საბედისწერო შედეგებს იწვევს. მსახიობი გამლეტია არა მარტო მაშინ, როდესაც ის ამ როლს თამაშობს, არამედ ყოველთვის, რადგანაც მსახიობი, როგორც გამლეტი ღალატობს თავის პიროვნებას და გაორებას განიცდის. არა მარტო გაორებას —არამედ გასამებას და გაოთხებას, რადგანაც ის მრავალ როლებში გამოდის და მრავალ მასკებს ატარებს.

თეატრი ცხოვრებამ წარმოშვა და თეატრი ცხოვრების ანალოგია არის. ჩვენი ცხოვრებაც უკანასკნელად თეატრია და ყოველი ჩვენგანი მსახიობი. თეატრი —მასკარა-



„ცირას სიმღერა“ მ. ბალანჩივაძის ოპერიდან „თამარ ცბიერი“

ავტორის ფაქსიმილე

დია. მსახიობი, როგორც მუდმივი მასკა, თავის მოღვაწეობაში ანხორციელებს სინამდვილეს, როგორც სიმბოლოს. სიმბოლიზმის ფილოსოფია ენათესავება თეატრის ფილოსოფიას, რადგანაც ყოველი სიმბოლო არის სინამდვილის მასკა.

მსახიობი ქმნის ურიცხვ ორეულებს და სურს რომელიმე მათგანში გაანხორციელოს თავისი თავი. შეიძლება ეს არის მსახიობის პირველმყოფი მიზანი — რომ თავისი „მე" უარყოს დროებით და შემდეგ ისევ აღადგინოს. მსახიობი უნდა იყოს აღფრთოვანებული იმედით, რომ ნახავს იმისთანა როლს, რომლისათვისაც მასკა არ დასჭირდება, რომელშიდაც ის გაუსწორდება თავის თავს.

მსახიობი რომ პოეტს შევადაროთ - უფრო გავიგებთ მის ელასტიურ პიროვნებას. როდესაც პოეტი ქმნის რომელიმე სახეს ის მსახიობია და რეჟისორიც, იმიტომ რომ პოეტს ერთ პიესაში გამოჰყავს მრავალი ტიპები, თითქოს სხვა და სხვა როლებს ასრულებს და განაგებს როგორც მთავარი რეჟისორი თავისი გმირების ბედიღბალს. მაგრამ აქ განსხვავებაც არის. პოეტი მხოლოდ წარმოადგენს თავის ტიპებს, თავისუფალ ფანტაზიით ქმნის თავის ფანტომებს, მსახიობს კი არ შეუძლია შეცვალოს ტიპი და უნდა ჩამოაყალიბოს ის ნაკარნახევ პირობებში. რასაკვირველია მისი პიროვნება დააჩნდება როლს, საკუთარი ბეჭედით დადადავს ამ როლს. ყურადსაღებია მომენტი მსახიობის პიროვნების გადასვლისა უცხო პიროვნებაში.

როგორ გამოჰყოფს მსახიობი საკუთარ „მე"-ს როლიდან, როგორ შეითვისებს უცხო ფსიქოლოგიას? აქ მსახიობს ეხმარება კოსტიუმი, აგრეთვე მსახიობის გარდაქმნას ხელს უწყობს დეკორაციები. მაგრამ შექსპირის დროს დეკორაციები არ ყოფილა და გრიმიც სავალდებულო არ არის მსახიობისათვის? აქ იგულისხმება სულიერი და არა ფორმალური გარდაქმნა. მსახიობი ეკითხება პიესის ავტორს: „თქვენ გმირს
6 წაბლის ფერი თმა აქვს, თუ შავი?" აქ უქვე იწყება მსახიობის შემოქმედება. სურს გაიგოს თმის ფერი, რომ შევიდეს სხვისი სულის ეკლიან ბურუსში. მსახიობმა უნდა აზეიმოს თავის სულში უცხო ტიპი, რატომ? რა არის მისთვის გეკუბა და რა არის ის გეკუბასათვის? ამ ძიებაში მსახიობი ნახულობს თავის თავს. აქტიორობა მით უფრო ძნელია და საპასუხისმგებლო, რამდენათ უფრო განათლებულია მსახიობი. ხშირად მსახიობი თუთიყუშია მხოლოთ, მაგრამ ძვირფასია მსახიობი, რომელიც სიმბოლიურად შეიგნებს თავის დანიშნულებას და უცხო მასკებში დაამტკიცებს საკუთარ „მე"-ს.

როდესაც მსახიობი დამალავს თავის „მე"-ს, მაშინ ჩვენ ვამბობთ: — როლი კარგათ იყო შესრულებული. მსახიობი ქმნის თავის როლს და აქ ჩვენ ვხედავთ ბრძოლას — მისი პიროვნება არ ემორჩილება როლს ბ უკანასკნელად როლი იმარჯვებს პიროვნებაზე. როდესაც მსახიობი თამაშობს ოთარ ბეგს, დონ კიხოტს, ან დოსტოევსკის იდიოტს, მან ყალყზე უნდა დააყენოს თავისი სული. მსახიობისათვის საჭიროა თავის გამეტება, თავის დავიწყება. მსახიობი, რომელიც თამაშობს გამლეტს, ასრულებს საშინელ როლს: — აქ მსახიობის პიროვნება — მისი ჭკუა და ტემპერამენტი განსაცდელშია. მსახიობის წინ უფსკრულებია და რომელიმე მათგანმა შეიძლება კიდეც დაღუპოს იგი. ხელოვნება ღმერთია, რომელიც მოითხოვს მსხვერპლათ ადამიანის სიცოცხლეს.

რამოდენიმე წლის წინათ როზანოვმა-მეფისტოფელმა დაბეჭდა წერილი და ის კვირობდა თავის „უკვდავ ფელეტონში" როგორ შეუძლია მსახიობს ანტრაკტის დროს პაპიროსი მოსწიოს და ამხანაგებთან იოხუნჯოს, როდესაც მან რამოდენიმე წუთის შემდეგ უნდა განაგრძოს თავის როლი.

ზოგიერთი მსახიობი სცენაზე გასვლის წინ პირჯვარს იწერს და გადის სცენაზე, როგორც ეშაფოტზე. მსახიობს ქურუმს თავისი პროფესია არ ეზარება, მაგრამ

მსახიობი ქალი მარო მდივნის ასული
20 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო
მიხაილოვის ფოტოგრაფია

მსახიობი ალექსანდრე იმედაშვილი
ქართველ მსახიობთა კავშირის თავმჯდომარე და ქუთაისის დრამატიულ დასის რეჟისორი
ფოტოგრაფია „ხელოვნება"

ის ხშირად სწყვეტს თავის როლებს, თავის ყალბ ორეულებს და სწყურია იმათგან განთავისუფლება, იმიტომ რომ ადამიანი ყოველთვის მიზანი უნდა იყოს და არა საშვალება. თუ მსახიობი რეჟისორის ან დრამატურგის საშვალებაა—ამის უარყოფა შეიძლება (გორდონ კრეგი გვპირდება იდეალურ თეატრს, სადაც მსახიობებს შესცვლიან მარიონეტკები), მაგრამ შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ჩვენ ყველა საიდუმლო რეჟისორის განკარგულებაში ვართ. ყოველი ადამიანი არის გასპარ გაუზერი, რომელიც სიკვდილამდე თავის თავს დაეძებს.

„ვინ შეგვახვედრებს, ვის უნდებვართ, ვინ მოგვიგონებს!" (კოლაუ ნადირაძე). თეატრი არის ცხოვრების იდეალური მასკა. არავინ თავის თავს არ ეკუთვნის და ნუ იფიქრებს მსახიობი, რომ მხოლოდ ის არის იძულებული ილაპარაკოს სხვისი სიტყვით. ჩვენც მყოფნი სცენის გარეშე სხვის ბრძანებას ვასრულებთ და ყოველთვის იმარჯვებს აუცილებელი მოირა.

როლმა არ უნდა დაიმორჩილოს მსახიობი. ყველა მასკებიდან უნდა იყურებოდეს მსახიობის შეშინებული თვალები, მისი ხმა არ უნდა დაჩრდილოს გრიმმა. აქ ჩვენ წინ იშლება ნამდვილი „დუელი ორეულთან", დუელი მსახიობის იმ პიროვნებასთან, რომელსაც ის აქანდაკებს. ამ დუელს ინტიმური ხასიათი აქვს და ის შეუმჩნეველია მაყურებელისათვის. ყოველი დიდი მსახიობი ქმნის თავის ოტელოს, რომელიც არა გავს არც შექსპირის, არც როსსის და არც ოლრიდჟის ოტელოს, ყოველი როლი არის მასკა და თუ ეს ასეა მსახიობს შეუძლია ამხილოს თავისი „მე" და შექმნას ახალი მასკა. აქ მსახიობის ინიციატივას ეშლება დიდი ასპარეზი შემოქმე-

ლარისა ქუთათელაძის ასული

ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის
როიალის კლასის მასწავლებელი

ფოტოგრაფია „ხელოვნება“

„თეთრი ვასაბმი“

ქართული დრამატიული სტუდია თფილისში
სხვდან ასულნი გამრეკელის, ქიქოძის ალისა, ანჯაფარიძის ვერიკო. დგანან ალექსი შვილი, ლორთქიფანიძე, მჟავია

კლარის ფოტოგრაფია

დებისათვის. თუ ის გაიგებს როლს როგორც სიმბოლოს და როგორც მასკას, მისი პიროვნება ამ როლის განმარტებაში და გახსნაში თავისუფალი იქნება. მსახიობი უნდა შეხვდეს საკუთარ მასკით პიესას, რომელიც მას მასკებით ევლინება და მასკების საბედისწერო შეხვედრაში დაიბადება ნამდვილი გამლეტური ხელოვნება.

მსახიობი ერთ და იმავე დროს ეკუთვნის სინამდვილეს და ოცნებას და მან თავის პიროვნებაში ამ ორი დასაწყისის ტრაგიული წინააღმდეგობა უნდა შეადუღოს. მსახიობს შეუძლია მიმართოს თავის თავს ტიუტჩევის მონოლოგით

О, вѣщая душа моя
О, сердце полное тревоги,
О как ты бьешься на порогѣ
Как бы двойного бытія!

დადგება ღამე--მსახიობი შორდება სინამდვილეს და ემსახურება მასკებს. მისი პიროვნება შუაზედ გაპობილი, ორ სამყაროს შუა ექანება, დაშორებული პირველს და მეორეს. ის უფსკრული, რომელიც არის ცხოვრების და სცენის შორის, ვერ ამოივსება, თუ მსახიობმა არ შეიგნო მთელი ცხოვრება, როგორც მასკარადი. მსახიობმა უნდა შეიგნოს, რომ თეატრი და ცხოვრება ემორჩილებიან ერთ და იმავე კანონებს და მაშინ უფრო გაბედულათ ითამაშებს ის თავის როლებს, რომ შემდეგში უარყოს ყველა როლები, დაამარცხოს ისინი და დაამტკიცოს თავისი „მე“, თავისი მასკა. თეატრი არის სიმბოლო და ამ სიმბოლოს მოციქულია მსახიობი. „ეფემერულ მასკარადში“ (ტიციან ტაბიძის თქმა) არ უნდა დაიკარგოს მსახიობი და ორეულებთან დუელში უნდა ნახოს გამარჯვება მისმა უკვდავმა სულმა.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

ნინო ჩხეიძის ასული

მაგდა („მამულ-დედული“)

მიხაილოვის ფოტოგრაფია

ნინო ჩხეიძის ასული

(ბიოგრაფიული ცნობები).

ნინო ჩხეიძის ასული დაიბადა ქ. ქუთაისში 30 ენკენისთვეს 1881 წელს. მამა მისი პლატონი ვექილი იყო, დედა ევგენია იმ დროში კარგ სცენის მოყვარეთ ითვლებოდა და მოხუცების როლებს ასრულებდა. იგი ნიკო ქორქაშვილის ქალი იყო. ნინომ ანბანი ეფემია და მისი დის ნინო მესხისაგან ისწავლა, რის შემდეგაც თვითონ სწავლობდა სახში და მრავალ წიგნებს კითხულობდა, თუ მივიღეთ მხედველობაში რომ მის დედას კარგი წიგნთსაცავი ჰქონდა. მამა ნინოსი წინააღმდეგი იყო ბავში გიმნაზიაში მიეცა, ასე რომ ნინოს არც ერთ სასწავლებელში არ უსწავ-

ნინო ჩხეიძის ასული

მარგარიტა გოტიე მოქ. V.

მიხაილოვის ფოტოგრაფია

ლია. ნინოს უფროსი და მარიამი თამაშობდა კოტე მესხთან და სახში მოჰქონდა როლები; ნინო ხალისით ამ როლებს ხშირად იზეპირებდა. ერთხელ როდესაც თეატრში იდგმებოდა „დამნაშავის ოჯახი“, რომელშიც პატარა ქალის ემმას როლი უნდა მარიამს ეთამაშნა, უკანასკნელი ავათ გახდა; მოთამაშე არავინ ჰყავდათ. კოტე მესხის ცოლმა ნატალიამ ურჩია რეჟისორს რათა ამ როლში გამოეყვანათ ნინო. ამ ამბავმა დასში დიდი სიცილი გამოიწვია, მაგრამ რადგან მოთამაშე ვერავინ ნახეს, ამისათვის ნინოს ათამაშეს ემმას როლი ზემოთმოხსენებულ პიესაში. ეს იყო 1894 წელს გაზაფხულზე დიდ მარხვაში ლადო მესხიშვილის ბენეფისზე. ლადო იმ წელს ქუთაისში გასტროლებზე ჩამოვიდა. წარმოდგენის შემდეგ ლადო მესხიშვილმა განუცხადა თურმე იქ მყოფ მსახიობებს: „დაიხსომეთ ჩემი სიტყვა თუ ნინომ არ აჯობოს დედასაც და დასაც“.

პრიმა მადონინა მაუერბაქსის ასული

თფილისის სახელმწიფო თეატრი

ამის შემდეგ მესხის ანტრეპრიზის დროს ნინომ ორჯელ-სამჯერ ითამაშა ყოფილ პავილიონში, რომელიც თეატრად ითვლებოდა მაშინ და ამართული იყო აწინდელ ქალაქის შუაგულ ბაღში. ეს პავილიონი იმავე წელს დაიწვა; კოტე მესხი თფილისში გაემგზავრა, ქუთაისში მყოფ მსახიობებისაგან შესდგა ამხანაგობა, რომელიც მთელ ზაფხულს მუშაობდა. ამ ამხანაგობაში ნინოსაც მოუხდა გამოსვლა. ნინო მაშინ 13 წლის იყო, შეხედულება კი უფრო ნაკლები ჰქონდა.

როდესაც დასმა დადგა დიუმას პიესა „ცოდვის შვილი“, სადაც მოთამაშეთ საჭირო იყო 13 წლის ქალი, პიესაში ეს წლოვანება შეასწორეს თერთმეტათ, რადგან ნინოს როგორც ვსთქვით მეტის შეხედულება არ ჰქონია. იმ გაზაფხულს იმდენათ დაიმსახურა სახელი ნინომ, რომ შემოდგომას თფილისის დრამატიულ საზოგადოებამ მიიწვია ის თფილისში, სადაც დასს რეჟისსორობდა ლადო მესხიშვილი. იმ წელიწადს ნინო მხოლოდ უბრალო როლებში გამოდიოდა და უმთავრესათ ასრულებდა პატარა ქალების და ბიჭების როლებს. უმთავრეს როლებს იმ დროს ასრულებდა უკვე ხანში შესული ავალიშვილის ქალი; ეს გარემოება მაშინდელ პრესამაც კი აღნიშნა და მიუთითა ხელმძღვანელებს, რათა ასეთ როლებში გამოეყვანათ დასში მყოფი ახალგაზდა ძალები. სხვათა შორის აღსანიშნავია იმ წელიწადს დადგმული სუმბათაშვილის „ბორკილი“, რომელშიც ნინომ შეასრულა ანიკოს როლი.

მეორე წელს ნინო მუშაობდა უკვე ქუთაისში ისევ ლადო მესხიშვილის დასში, რის შემდეგაც რამოდენიმე წელი ზედიზედ სულ ქუთაისში თამაშობდა. სწორეთ ამ წლებში გამოდის ნინო მთავარ როლებში, ვინაიდან მესხიშვილს დასში დრამატიულ როლების მოთამაშე ქალი არ ყავდა. უმთავრესათ მაშინ იდგმებოდა კლასიკური პიესები და ნინოც თამაშობდა დეზდემონას, კორდელიას (მეფე ლირი) და სხ. მესხიშვილი პროვინციებში დადიოდა და ნინოც დასთან ერთად იყო ბაქოში, ბათომში, ფოთში, სოხუმში, ყარსში და სხ. ამ ხანებში (1897 წ.) გამოვიდა ნინო პირველად „უბედურ ნაბიჯ“-ში და სწორედ ამ ხანიდან იწყება მისი დაწინაურება, მისი სახელის მოხვეჭა. ეს პიესა თავის ბენეფისზე დადგა მაშინ ვასო ბალან-

ჩივაძემ და ის დღე იყო აგრეთვე პირველი ბენეფისი ნინო ჩხეიძისა, ვინაიდან სწორეთ ამ დღიდან ნინოს სახელი გამოჩენილ მსახიობთა შორის ჩაირიცხა.

სხვათაშორის აღსანიშნავია მაშინდელი განწყობილება ურთი ერთ შორის მთელ დასში და კერძოთ მთელ ამხანაგ-მსახიობებისა ნინოსადმი, რადგან თუ მივიღეთ მხედველობაში რომ ნინოს უკვე მამა აღარ ჰყავდა და სწორედ ამავე ხანებში ხელიდან გამოეცალა დედა და უფროსი და მარიამი. მამა მოუკვდა მას ორი წლით ადრე სანამ სცენაზე შევიდოდა, მოლოდ დედა სცენაზე მუშაობის სამი წლის შემდეგ. დედის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა მისი და მარიამი. მშობლებისა და დის სიკვდილის შემდეგ ნინოს არავითარი სახსარი გააჩნდა და ამასთანავე მის ანაბარათ დარჩენ მასზედ უმცროსნი ორი და და ერთი ძმა. სასოწარკვეთილებას არ მიეცა ნინო და ამასთანავე დასში ასეთი ძმური-მამობრივი განწყობილება ამხანაგების მისდამი ერთობ ახალისებდა მას და მომავლის იმედებით აღჭურვილი ის არ ჩამოსცილდა სცენას და უფრო ენერგიულათ განაგრძობდა მუშაობას. ამავე დროს ეკუთვნის მისი „ნორა"-ში პირველათ გამოსვლა. ეს იყო ახალი დიდი ნაბიჯი მის ს სცენო მოღვაწეობაში. „ნორა"-მ უფრო მოუხვეჭა მას სახელი და დღესაც ამ როლში შეუდარებელია ნინო ჩხეიძის ასული.

დასში იმ წლებში (1902 – 3 წ.) მუშაობდა მსახიობი მიხ. ქორელი, რომელსაც ნინომ სიტყვა მისცა. ამის შემდეგ ჩვენ ვხედავთ მიხ. ქორელს ბაქოში, სადაც ის მასწავლებლობდა, მხოლოდ ნინო. ქუთაისის სცენაზე ათი წლის მუშაობის შემდეგ გადავიდა თფილისში, სადაც ის 1903 – 4 წლის სეზონში მიიწვიეს. რეჟისსურა იმ წელს თფილისში მორიგეობით იყო ვასო აბაშიძის, კოტე მესხის და კოტე შათირიშვილის ხელში. თფილისში ნინო იკავებს უკვე თვალსაჩინო ადგილს, ის უკვე
12 ერთად ერთი მსახიობია დრამატიულ როლებში. ამავე წელს თავის ბენეფისზე ნინო თამაშობს მაგდას („მამულ-დედული") როლს. ეს მისი მესამე მთავარი როლია, რომელიც ნინომ სავსებით გადმოგვცა და ისტორიულათ გახადა მაგდას პიროვნება.

შემდეგი 1904 – 5 წ. სეზონშიც ნინო კვლავ თფილისში მუშაობს. აქვე სამასწავლებლო ასპარეზზე იღწვის მიხ. ქორელი. 1904 წელს ენკენისთვის შუა რიცხვებში მათ ჯვარი დაიწერეს. 1905 – 6 წლის სეზონში ნინო ისევ მიიწვიეს იმავე დასში, მაგრამ 1905—6 წლის რევოლიუციონურ მოძრაობების გამო 1905 წლის დამლევს მუშაობა დასისა შეწყდა. ნინო ჩხეიძის ასული ავათმყოფობის გამო თავის ქმრით ნოემბერში 1905 წ. გაემგზავრა საზღვარგარეთ და ხუთი თვის განმავლობაში ცხოვრობდა პარიზში. იქვე ეყოლა მას ქალი — მედეა. ავათმყოფობა რასაკვირველია ძლიერ უშლიდა მას ხელს, მაგრამ ნინომ მაინც ინახულა სარა ბერნარის და რეჟანის თეატრები. რეჟანის თეატრში ნინომ უყურა კომედიის გამოჩენილ მსახიობ კოკლენს, მხოლოდ სარა ბერნარის თეატრში ინახულა სარა ბერნარის მოადგილე ბლანშ დიუ ფრენი, თვითონ სარა ბერნარი კი იმ დროს თურმე ამერიკაში იმყოფებოდა. ბლანშ დიუ ფრენი თამაშობდა პიესა „Aiglon"-ში, ჩვენთვის ცნობილ პიესა „Орленок"-ი. ამ მსახიობს ნინოზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, მისი თამაში ზედმიწევნით კარგი ყოფილა. „როგორც მაშინ ამბობდენ განსაკუთრებით ამ როლში ბლანშ დიუ ფრენი ბევრათ უკეთესი ყოფილა სარა ბერნარზე, რადგან სარა ბერნარი ამ როლს სავსებით არ ატარებს, ნაწყვეტებში კი შეუდარებელია, ბლანშ დიუ ფრენი კი მართლაც სავსებით მთელი პიესის მსვლელობაში ატარებს თავის როლს. ხომ არ მესმოდა თამაში, მაგრამ შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ სულ კანკალმა ამიტანა და ძარღვებიც დაჭიმული მქონდაო" — აი შთაბეჭდილება, რომელიც დასტოვა ნინოზე ბლანშ დიუ ფრენის თამაშმა.

1906 წ. მაისისათვის ნინო ჩხეიძის ასული თავის ქმარშვილით დაბრუნდა პარიზი-

დან თფილისს, სადაც მიხ. ქორელი გამოწვეული იყო მეცადინეობის და გამოცდების განახლების გამო სასწავლებლებში. ამ წლიდან სამი წლის სეზონის განმავლობაში, სახელდობრ 1906—7, 7—8 და 8—9-ს ნინო მუშაობდა თფილისში, მხოლოდ დროგამოშვებით ესტუმრებოდა ქუთაისსაც, სადაც იყო ლადო მესხიშვილის ანტრეპრიზა და ნინოს ვხედავთ ჩვენ პირველათ სუმბათაშვილის „ლალატ“-ში მოთამაშეს ზეინაბის როლში. ვის არ უნახავს ნინო ამ როლში, რომელი ქართველი არ ზიარებია მის თამაშს, ვინ არ აუტირებია ნინოს ზეინაბს. ზეინაბიც ერთი მოავარი სახეა, რომელსაც თავის შემოქმედებაში იძლევა ნინო ჩხეიძის ასული.

1909 წლიდან კი ნინო ჩხეიძე არ სცილდება ქუთაისის სცენას. 1909—10 წ. თამაშობს ნინო გუნიას რეჟისსორობით. აქ ნინო ქმნის ახალ-ახალ ისტორიულ სახეებს. მარგარიტა გოტიე, და ბეატრისა და სხ. ახალი სახეები ეს დამატებაა იმ მთელი სერიის შექმნილ ტიპებისა. უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში ნინო ჩხეიძის ასული დაუღალავათ ეწეოდა შრომას სასცენო მოღვაწეობის ასპარეზზე ქუთაისის ქართულ სცენაზე. და წელს როდესაც 25 წელიწადის იუბილე გადუხადა მას მადლიერმა საზოგადოებამ, ნინომ ეს იუბილე მიიღო ისევ ქუთაისში, სადაც ის პირველათ ამ ოცდახუთი წლის წინათ გამოვიდა სასცენო ასპარეზზე და სცენას, სამშობლო თეატრს შესწირა თავი.

1918—1919 წლის სეზონში ნინო, ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების მიერ მოწვეული, თავისი ნაზი და მშვენიერი თამაშით კვლავ ატკბობდა, მის თაყვანისმცემელ საზოგადოებას და დასუსტებული, ავათმყოფი ის მაინც არ მოსცილდა უკანასკნელ წუთებში თავის საყვარელს სცენას. ახლა კი მას აუცილებლათ ესაჭიროება დასვენება, რათა ახლო მომავალში ნინომ ისევ გამხნევებულათ გადაგვიშალოს თვისი ნიჭი და გული და განახლებით დაუღალავათ ვიხილოთ ჩვენთვის საყვარელნი ზეინაბი, მარგარიტა გოტიე, მაგდა, მედეა, და ბეატრისა, ქეთევანი და სხვა სახეები, რომელნიც ნინოს განსახიერებაში მუდამ უკვდავნი იქნებიან.

სოსო ასლანიშვილი.

მხატვრული ცხოვრება თფილისში

სურათების გამოფენა სამხატვრო სასწავლებელში. „სომეხ მხატვართა კავშირი“-ს გამოფენა. ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა. რუს მხატვართა გამოფენა „Малый круг“. აკვარელის გიმოფენა.

მხატვრული ცხოვრება თფილისში ატოკდა სწრაფად. სულ ხუთი გამოფენა იყო მხატვრული ნაწარმოებებისა.

სურათების გამოფენა სამხატვრო სასწავლებელში პირველი მერცხალია ამ საგაზაფხულო სეზონის. მონაწილეობას იღებენ უმთავრესათ რუსი მხატვრები, აგრეთვე სომხებიც, როგორც ბაშინჯაგიანი და სხვ. თვით სკოლის მოწაფეებსაც აქვს აქ დათმობილი ადგილი. გამოფენის საერთო ხასიათი მეტად ყურადსაღებია, როგორც ისეთი მხატვართა ძიებანის მაჩვენებელი, როგორც არიან ფოგელი და სკლიფასოვსკი. აღსანიშნავია ფოგელის ძლიერი ფერადებიანი სურათი „მალარია“ და პეიზაჟები, სკლიფასოვსკის „მკვდარი ბუნება“.

ბაშინჯაგიანი მრავლათ არის გამოფენილი, უკავია მთელი კედელი დარბაზისა, რომელიც თვით წარმოადგენს უაღრეს ინტერესს, როგორც თფილისის წარსული საუკუნის ხელოვნების ნაშთი (არშაკუნის სახლი). ბაშინჯაგიანის სურათებს შორის არის მისი ახალი ნაწარმოები — ლტოლვილი სომხების გადასვლა თოვლიან მთებში. არის ამ გამოფენაზე ქართველი მხატვარიც გაბაშვილი, — მისი Nature morte-ები.



კედელი ლადო გუდიაშვილის სურათებით
ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა თფილისში
ჟურნალ „ხელოვნება“-ს რედაქციის ფოტოგრაფია

„სომეხ მხატვართა კავშირი“. ამ სახელით რუსთა კლუბის შენობაში აპრილის დასაწყისში გაიხსნა გამოფენა განსაკუთრებით სომეხ მხატვართა სურათებისა. 350 ნომერში ყურადღებას იპყრობს ტეხნიკის დამუშავებით და ღრმა გრძნობით სავსე ეგ. ტატევოსიანის და ტერლემეზიანის მზიანი სურათები. აღვნიშნავ ოგანეზ ტატევოსიანის ნათელი და ფერად ლაქებიან სურათებს და სერგეი გოროდეცკის დილეტანტურ, მაგრამ ყურადსაღებ ნახატებს თფილისის სხვა და სხვა კუთხისა. მრავალი მხატვრის სურათები ითქვიფება გამოფენის ერთფეროვნებაში. საერთო ერთფეროვნებას აშუქებს და ძალას აძლევს სარიანის ოთხი სურათი. ქანდაკებიდან დავასახელებ გიურჯიანის „ქალის ბიუსტი“ და კაროს „ექ. გურკოს“.



კედელი მაცა-შვილის მოსე და ერეკლე თოიბეშის სურათებით
ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა თფილისში

ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა. 4 მაისი — დღესასწაულია ქართულ მხატვრობისა: დიდების ტაძარში გაიხსნა ქართულ თანამედროვე მხატვრობის გამოფენა, მოწყობილი ქართველ მხატვართა საზოგადოების მიერ. ეს გამოფენა პირ-

ლადო გუდიაშვილი თეთრი გიორგი

ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა თფილისში

ველია ჩვენს ცხოვრებაში. აქ თავმოყრილია თითქმის ყველა ქართველი მხატვრები. მონაწილეობენ 15 მხატვ., მათ შორის ოთხი ქალი. თუმცა მცირე რიცხოვანი (სულ 278 სურ.), იგი უაღრესათ საინტერესოა, როგორც მაჩვენებელი თითქმის ყველა დამახასიათებელ მიმართულებებისა თანამედროვე მხატვრობაში, დაწყებული აკადემიური ხასიათის სურათიდან (მრევლიშვილი), გათავებული ფუტურისტულ და კუბისტურ ნაწარმოებებით (კაკაბაძე: „ავტოპორტრეტი“ და „დაკრძალვა იმერეთში“, და გუდიაშვილის: „ჩემი ტფილისი“, „მერანი“ და „ავტოპორტრეტი“.). ამ საერთო ხასიათის გამოფენას მეტი მნიშვნელობა და ინტერესი ეძლევა შედარებით დანარჩენ ორ გამოფენასთან.

აქ ვხედავთ თფილისისათვის ცნობილ გაბაშვილს, პორტრეტისტს ჯორჯაძეს, სინათლე და ჩრდილის თამაშის მოტრფიალეს მოსე თოიძის მზიან სურათებს, რომელთა შორის შთაბეჭდილებას სტოვებს „დედოფალი საგარაკოთ“ და ორი სურათი „დარ-



ვედელი დავით კაკაბაძის სურათებით

ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა თფილისში

ჟურნალ „ხელოვნება“-ს რედაქციის ფოტოგრაფია

ბაზი“. შ. ქიქოძე წარმოდგენილია რამოდენიმე ნაწარმოებით, რომლებიდან კარგათ გამოიყურება ირ. წერეთლის პორტრეტი და პატარა ეტიუდი აჭარის მთებისა. სიდამონ ერისთავი ხასიათდება თავისი „გიორგი საკაძეთი“ და ძლიერი „წმიდა გიორგით“. მრევლიშვილმა გვაჩვენა დიდი სურათი ძლიერი გრძნობითა და განცდით სავსე — „კრწანისის შემდეგ“. აუცილებლათ წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებენ ვლ. გუდიაშვილი და დ. კაკაბაძე.



კუთხე იაკობ ნიკოლაძის ქანდაკებებისა, იქვე ბევრით აკიროსმანიშვილის სურათით

ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა თფილისში

ჟურნალ „ხელოვნება“-ს რედაქციის ფოტოგრაფია

პირველი — რომანტიკოსი, თავისებური სამყაროს მატარებელი თავის გულში, მომღერალი ხაზებითა და ტანის ხვეულებით, მეორე — კლასიკი, რეალისტურ სახეების გამმარტივებელი, ფორმის გამომჭედი. პირველი უაღრესათ მუსიკალური, მუსიკოსი, მეორე — ხუროთ-მოძღვარი. პირველის ფერადებში ხედავთ ოცნებას, მეორესაში კი — საღი გონებისა და თვალის სიძლიერეს.



ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲕᲐᲚᲘᲠᲘᲐᲜ ᲡᲘᲓᲐᲛᲝᲜ ᲘᲠᲘᲡᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲥᲘᲥᲝᲫᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ

ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა თფილისში

ჟურნალ „ხელოვნება"-ს რედაქციის ფოტოგრაფია.

აღვნიშნავთ გუდიაშვილის „ქალაქ გარეთ", „ქეიფი ძმა ბიჭებისა", „პირიმზისა", „ცისანა", „დღეობა". პორტრეტებში ყურადსაღებია ნახევრათ კუბისტური „ავტოპორტრეტი" და აგრეთვე ფანქრით ნახატები. დ. კაკაბაძე გვიჩვენებს იმერეთის სინტეტიურ სურათებს, ფოლადისებურ გამოჭედილ პორტრეტებს. ყურადსაღებია მეტად ძლიერი Nature morte და იმერეთის ეტიუდები და ფანქრით ნახატი „ძველი თფილისის" სერია. ქ-ნ ს. ნიკოლაძის Nature Morte-ები (პასტელი) უნდა ჩაითვალოს ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებათ.

ნაზია და ახალგაზდური ელ. ახვლედიანის ეტიუდები ზეთით. აღვნიშნავთ კიდევ ახალგაზდა ირ. თოიძეს, რომელიც ფერადების შეხამებით და კომპოზიციით ფანქრით ნახატებში ნათლათ გვამხელს, რომ მომავალში მას შეუძლია დიდ შედეგამდე მიაღწიოს.

თ. ბილანიშვილი და თ. თავაძე წარმოდგენილი არიან: პირველი—ორი ქანდაკებით და მეორე—რამდენიმე ნახატით ფერადებით. ნიჭიერ მოქანდაკემ იაკობ ნიკოლაძემ გვიჩვენა მხოლოდ ნაწილი თავისი შემოქმედებისა. მაინც მრავალ ნაწარმოებს შორის, მშვენიერი „ქარი" (ქვა), თ. ყ—ელის ბიუსტი (გიპსი), „ჩრდილოეთის ასული" (მარმარილო), დაუმთავრებელი „სალომე" (მარმარილო) და პატარა „ხევსური" (თიხა).

დასასრულ მოვიხსენიებთ სურათებს ნიკო ფიროსმანიშვილისას, ამ გულუბრყვილო და ძლიერი ნიჭის პატრონს. დავასახელებთ „ქეიფს რთველის დროს", „დღეობას" „ქორწილს კახეთში", „ქეიფს", „ირემს" და Nature Morte-ს.

მეოთხე სურათების გამოფენა „Малый Круг"-ი ამ მხატვრულ სეზონის დაბოლოვებაა. მონაწილეობენ უმთავრესათ რუსი მხატვრები.

აქ შეხვდებით რუს მხატვრებს სუდეიკინს და სორინს. პირველის დეკორატიული „არლეკინის ბალაგანი" და „ვენეციელი მოზეიმენი" საინტერესო არიან ფერადების და კომპოზიციის მხრივ. და საერთოდ მხატვრის დეკორატიულ მოხერხების გამომჩენ „კარნავალით" მხატვარი გვაჩვენებს თავის მხატვრობის ხასიათს—რეტროსპექტივობას წარსულ ლუდოვიკების ხანას გაცოცხლებაში. ასეთივე ყაიდის არის მისი პატარა პეიზაჟები.

საერთო ცოდნის და ერთგვარი მხატვრული განვითარების ელფერით სუდეიკინს გვერდში უდგას სორინი თავისი პეიზაჟებით და ფანქრითა და სანგვინით ნახატი პორტრეტებით: ორლოვა, საზონოვი, ობოლენსკი და სხ.

გუდიაშვილი და ბაჟბეუკ მელიქოვი სწევენ მხატვრობას სულ სხვა ფარდას. პირველის Nature morte-ი და მეორეს „ყავისფერი ქალი“ და სხვა ასეთები დიდი ძიების მაჩვენებელი არიან. გამარტივებულ და თავისებურ ფორმის ფარგლებში სჩანს მელიქოვის მუყაითი მუშაობა ფერადებზე.

ვალიშევსკის პორტრეტები ყურადსაღებია; მათ შორის ერთი ხნიერ ქალისა. სახელმწიფო თეატრის ფარდის ავტორის პორტრეტებში ემჩნევა ერთგვარი „ტეხვა“ და განზრახი კარიკატურობა.

გამოფენაზე ვხედავთ აგრეთვე ევსეევს, ზალცმანს სუსტი Nature Morte-ებით, კარიკოვს, ლანსერეს, ტირს და სხვ.

სამხატვრო სკოლის შენობაში გაზაფხულის უკანასკნელ რიცხვებში გახსნილი იქნა „აკვარელი“-ს გამოფენა, რითაც დამთავრდა თფილისში საზაფხულო სამხატვრო სეზონი.

გიორგი ლუჩიაშვილი

კომპოზიტორი ფოცხვერაშვილი და სასულმწიფო თეატრის კომპასარი ბუბუნავა

მიხ. ჭიაურელის ნახატი

ფოტოგრაფია „ხელოვნება“.

მომღერალი დავით ავოფაშვილი

ნიკო თუმანიშვილის ნახატი

ალკიბიადესი

ალკიბიადესი მოწყენილი იყო. გამვლელსა და გამომვლელს ს.საცილოდ იღებდა.
— მაგას ტყვილად დასცინი — შეეკამათა ერთი მეგობართაგანი - მაგი ჭკვიანი კაცია! გულის ამრევ დრამებს სწერს; ყურის შემაძრწუნებელ სიტყვებს ლაპარაკობს!.. ჩაიცინა ალკიბიადესმა.
— მთელი ათინა, მთელი საბერძნეთი ალაპარაკდება ხვალვე, თუ კი მოვინდომე — უპასუხა ალკიბიადესმა.
— შენზე ეხლაც ლაპარაკობს...
— რაზედაც მსურს — გააწყვეტინა ალკიბიადესმა.
— ასე იცი დაჩემება.
— აი ამ ძაღლზე, თუ მსურს დღესვე სოკრატიც ილაპარაკებს და ტერსიტესიც, ასპაზიაც და დიოკენტიც...
— სცდები!
— აი ვნახოთ! და ალკიბიადესი მიუახლოვდა მათხოვარს, რომელსაც კუდ-ჩამოვარდნილი, მუნიანი, წელში გაწყვეტილი ძაღლი ახლდა.
— მომყიდე ძაღლი, ოღონდ ბევრს ნუ მთხოვ.
— რაც გენებოს, ის მიბოძე.
— გეყოფა ათასი დრახმი?
მათხოვარი მიხვდა, რომ რაღაც არა-ჩვეულებრივი ხდებოდა და მონურად, მათხოვრულად მიმართა ალკიბიადესს:
— ნუ დამღუპავ! შენთვის რამდენიმე მინა*) არაფერია, ულამაზესო და უბედნიერესო, მე კი... მე საწყალი ვარ.
— კარგი, ორი ათასი იყოს!
— ნუ დამჩაგრავ, ღმერთების საყვარელო, მაჩუქე კიდევ რამე.
— გადაუთვალე სამი ათასი. — უბრძანა მხლებელს ალკიბიადესმა.
მათხოვარი ოხოვნიდან ვაჭრობაზე გადავიდა: იფიცებოდა, ამტკიცებდა, რომ ასეთს ძაღლს მთელს საბერძნეთში ვერ იშოვიდა ადამიანი; რომ მთელი იმედი მისი და მისის სამი ბრმა დისა, კუნტი დედისა და კეთროვანის ძმის ამ ძაღლში იყო; ბოლოს ყვირილიც კი მორთო, ალკიბიადესს არ ეკადრება ბეჩავი მათხოვარის სილარიბით ისარგებლოს და ოხერ-ტიალს იაფად გამოართვას საქონელიო. ასეთი ვაჭრობა ჭეშმარიტად მეკობრეობაზე უარესიაო, ყვიროდა მათხოვარი.
ალკიბიადესი იდგა. გულში ეცინებოდა, მაგრამ არ იმჩნევდა. „ყოველი ბერძენი არტისტიაო“. — ჰფიქრობდა.

*) ბერძნული ფულია; უდრის 100 დრახმას.

ხალხი შეგროვდა ერთი ღრიანცელი ასტყდა. ვიღამაც ხუმრობით, თუ გულ-წრფელად, ალკიბიადესზე მეტი ფასი შეაძლია ძაღლის პატრონს.
ბოლოს ძაღლი ალკიბიადესს დარჩა შვიდ-ათას დრახმად.
ჯერ კიდევ გზაზე ალკიბიადესს წამოეწია სოკრატესი. ბაასი გაჩაღდა. ძაღლი იყო უმთავრესი საგანი სჯა-კამათისა. დაწვრილებით, სამაგალითო ლოგიკურის მსჯელობით, გაარჩიეს სული ადამიანისა და სული ცხოველისა, განსაკუთრებით-კი ძაღლისა: სოკრატესმა ნათელზე უფრო ნათელი ჰყო, რომ სილამაზეს, რომელიც ალკიბიადესში ჰსუფევს, უნდა მოსურვებოდა თან ჰყოლოდა სიმახინჯე, რომელიც განხორციელებულიყო ძაღლში; რომ უდიდესი მშვენიერება, ისე, როგორც უდიდესი სათნოებაც, თავის თავის მხოლოდ სრული წინააღმდეგობის ხილვითა და შესწავლით შეიგნების.
სახლში მოსულთ მხატვარი დახვდა და მოწიწებით ნება ითხოვა ძაღლის სურათის გადაღებისა.
შუა „ნადიმში“ რომ იყვნენ, მსახური შემოვიდა და მოახსენა ალკიბიადესს: „ასპაზია გთხოვთ დღეს საღამოს ეწვიოთ თქვენის ახლად შეძენილის ძაღლითაო“.
— მოახსენე მშვენიერებისა და ჭეშმარიტების შემაერთებელს, სანამ არ დაბანდნენ და სურნელებას არ აცხებდნენ ვერ გავბედე, შეურაცხმეყო შენი თვალთა შუქითქო, თორემ დილითვე მინდოდა შემოსვლა; საღამოს ვეახლები.
ათინის მოკავშირე ქალაქში სახალხო ორატორი გაბოროტებული იძახდა: „ჩვენ, მოკავშირეები უკანასკნელს ობოლ ბავშის მარჩენალ, თხასაც კი ვყიდით, რომ საერთო მოკავშირეთა ხაზინაში შევიტანოთ, ალკიბიადესი კი 7,000 დრახმას ერთს ძაღლში აძლევს...
20 — „რომელიც შენზე უკეთესია უსათუოდ“ — ჩაუმატა ვიღაც არისტოკრატმა.
„რითი აიხსნება ეს“ — განაგრძობდა ორატორი, — იმითი, რომ ათინა ჩვენი ოფლითა და სისხლით იკვებება წურბელასავით“...

— —

გავიდა რამოდენიმე თვე. ძაღლიც მიავიწყდათ. ალკიბიადესი ისევ მოწყენილი იყო. ძაღლი ფეხთ უწვა და ეძინა მთელის ცხოვრებით დაღალულს, კვირაობით მშიერს, დღიდან ალკიბიადესის სახლში მიყვანისა მუდამ ეძინა, თუ არ სჭამდა, ან თუ არ ბანდნენ. კარგის მოვლისა და ჭამისაგან თმა გაბრწყინვებოდა, გაზრდოდა; მურგვივით შეხვეული სასიამო შთაბეჭდილებას ახდენდა. „რა ნაირია ადამიანი? — ფიქროობდა ალკიბიადესი — ცუდს თითქოს გაურბის, აძაგებს, სცდილობს მოსპოს ცუდი; ხსოვნით კი ცუდი უფრო ახსოვს, ვიდრე კარგი. ჰეროსტრატეს სახელი ყველას ენაზე აკერია, მაგრამ ვინ იცის იმ ხუროთ მოძღვრის სახელი, რომელმაც ტაძარი ააშენა? ოთხი-ხუთი პოეზიის მოტრფიალე თუ მოიგონებს არქილოზოსის სევდიან ელეგიებს; მისი სატირები კილიკამბის ქალებზე, რომელთაც ვერ გაუძლეს დაცინვას და თავი მოიკლეს, ყველას ახსოვს და ყველა ზეპირად ამბობს. ჩემის ცხოვრებიდანაც... მთელი საბერძნეთი ლაპარაკობდა ძაღლზე, რომელიც ულირალ ფასად ვიყიდე, მაგრამ ვის ახსოვს, ვის მოაგონდება, რომ იმავ დღეს გავანთავისუფლე ათასი მწყერი, რომ დავმტკბარიყავ მათის სიხარულით. ვის ახსოვს, რომ ჩემს ერთს რჩევას გადაურჩენია ათინა განსაცდელისაგან“.
— დოსტაქარს უთხარი ამ ძაღლს სრულიად ძირში მოსჭრას კუდი! — უბრძანა ალკიბიადესმა მსახურს, რომელიც იქვე იდგა. როცა მსახურმა ძაღლი გაიყვანა, ალკიბიადესმა ბოროტად ჩაილაპარაკა:
— ისევ აყაყანდი, სულელო ბრბოვ!

ნ. ლოლთქიფანიძე.

სულის აღსარება

ნარჟანს ნაცვლათ სალაზისა

I

აზრსა ჩემსას გარდაულახავს ყოველგვარი საზღვარი ადამიანთა შეთანხმებით გადავლებული.
სიკეთე და ბოროტი ღვიძლ ძმებათ უცვნია ერთმანეთისა.
ცოდვა და მადლი ერთ ამბაზში მოუნათლია.
არ არის ცდუნება, დანაშაული ადამიანთა პირისაგან დევნილ-წყეული, რომ მას არ ეგრძნოს თავის მოკეთეთ, ხორცად და სისხლად. შეულახავს უწმიდესი ტაძარი ამა სოფლისა და ყოველგვარი წყევა-კრულვა სიამაყით მოუსმენია.
მაგრამ მარჯვენა ჩემი სუფთაა ყოველგვარი ბოროტებისაგან.
რადგან გული უმაღლესად ფაქიზია თვით ხელის სისუფთავეზედ.
მაგრამ ვხედავ, რომ გრძნობათა სივრცეში უამრავის სახით დაბზინავს ერთი უკვდავი ჭეშმარიტება.
— ღალატი! ეს ხომ უერთგულესი შვილია თვით ღვთაებრივ გულისაც?
და მწყურის გავიცინო, ჩავიხარხარო, მაგრამ ვერავის თვალებს ვერა ვხედავ, არც თუ სარკე მაქვს... სევდის ფერსა ვგრძნობ ჩემ სახეში, საღაც დუმილი სისწრაფითა ქსოვს თავის უცნაურ ბადეს საიდუმლო ზრახვათა შიგ გასახვევად.
რა უძრავი ყოფილა ღელვა სულისა!
მაშ გადაიღეთ ქანდაკება გაყინულის აზრისა!

II

ერთი ხმა მესმის არ ვიცი მტრისა თუ მეგობრისა. შეიძლება ჩემი გულის ხმაც იყოს: 21
— რატო არა ჰქსოვ ფერადოვან ზღაპართ სხვათა სასმენად?
ჩემი პასუხი კი მემგონი შემდეგია:
— მრავალი ზღაპარი დამიწყვია და ვერც ერთი კი ვერ დამიმთავრებია: ყოველი ზღაპრის ყოველ გმირად სულ ჩემი სახე წამოიჭრებოდა წინ. ავაზაკი იყო იგი თუ სიკეთის მთესველი, დაცემული თუ ზნე-ამაღლებული, ფუჭი თუ დიდ-ბუნებოვანი ყველას სურათი ჩემი თავიდან უნდა გამომესახა.
მე კი ჩემი თავი, ჩემი ცოდნა, განცდა, ხილვანი საკმარისად არ მიმაჩნდა არცერთი ზღაპრის არცერთსა გმირად... ოჰ, ნეტავ ვიცოდე სხვებს როგორ ჰყოფნით თავიანთი თავი!

III

ვიცინი ვმსჯელობ ვკამათობ. დროს ვატარებ მეგობარ-ნაცნობებთან. მათ ჰგონიათ მე ვარ ნამდვილად ის, როგორც მხედავენ.
ეხლა შინავზივარ. შუა ღამეა. ჩემი სული გაშიშვლებულა და ხელებ-გაპყრობით, თითქოს ჯვარზედ გაკრული, დგას ჩემს წინაშე.
და მისი ჭვრეტით გონ-არეულს მწყურის ამოვშალო ყოველი ნაბიჯი დღისა სავალზედ გადადგმული და ნიავს მივსცე თავ-გამოდებული სიტყვანი ჩემნი.
ჟინი მაქვს დავბრუნდე ამ სიბნელეში და შევსძახო ყველა მათ, ვინც შემხვედრიან, რომ იგი თქმანი მე არ მეკუთვნიან!
მე არ მეკუთვნიან!
მე მაშინ ვეკუთვნი ჩემ თავს, ოდესაც შევსცქერი ჩემ სამოსელ შემოფლეთილ სულს, და მაშინ კი... უტყვი ვარ, უტყვი...
ოდესაც მრავალ თქმათა იერიშს ვგრძნობ ჩემს გულში, მაშინ ერთი სიტყვის მოწყვეტაც კი აღურიცხველ დანაკლისად მომეჩვენება. რათ? ვისთვის? რისთვის?

ვკითხულობ ამას, ვკითხულობ იმიტომ, რომ პასუხი წინადვე მაქვს მოსმენილი ამოების სამეფოდან.
ოო, მეგობარო მეგობარო!
ერთო! და შენც დასაკარგად განმზადებულო!
რა მეზარება აბრეშუმის მხიარული ქსოვილი:
— იგი ჰპარავს ჩემი სულის სილამაზეს, მის ბროლობას,
რა მეზიზღება სამოსელი ხავერდის და ატლასისა:
— იგი ჰჩქმალავს ჩემი სულის სიმახინჯეს, ავ-ზნეობას.
ოო, მეგობარო! ერთო! ერთო!
შენ რომ მაინც გრძნობდე — თუ როდის ვეკუთვნი მე ჩემ თავს — შემიყვარებდი მაშინ, ოდესაც გეზარები. და შემიზიზღებდი მაშინ, ოდესაც გიყვარვარ...
მე სული მეხუთება ნიღაბ ქვეშ...
ნეტავ სხვები თავისუფლად როგორ სუნთქავენ?..

IV

ხშირად ისე ყრუ ვარ, რომ ხმა გარემოსი ველარა სწვდება ჩემი გულის პასუხს.
მაგრამ ხმა სიყვარულისა მარადის მესმინება.
სიყვარული!
— განა მყვარებია ოდესმე!
— განა ყოფილა წამი, რომ არა მყვარებოდეს!
მაგრამ ყველაზე საშინელი ის არის:
— როცა ვიყვარს ვიღაცა.
— და არც იცი... ვინ.

არ ვიცი...
არ ვიცი...
როცა ამას ვამხელ — ჩემი გულის სარკეს ვსწმენდავ მტვერსა სიფლიდისას და ვხედავ, რამდენიმე სახე მომჩერებია გაფითრებული...
მე მწყურის ხელებ-გაპყრობით, მუდარით გავეშურო ყველასთან:
ვეამბორო, ვანუგეშო, შევფიცო...
და ვემხობი პირქვე და ჩავბღავი ჩემი სულის ქვესკნელს... წუთისოფლის უფსკრულს...
და ველოდები ნასროლ ქვას...
და ველოდები ნასროლ ქვებს... რომ უფრო ჩქარა შთავინთქე... მიუწდომელთა-სავანეში... მე ველოდები... რათ აგვიანებენ?
ნუ თუ ისეთი სასტიკი დამნაშავე ვარ, რომ... მაპატიეს!..
ოო, სიყვარულის ღმერთო! ჭაბუკთა ტაძარში წმიდათა-წმიდათ გაბრწყინვებულო!
მხოლოდ ეხლა უნდა გამხილო!
მხოლოდ ერთხელ უნდა გამხილო:
— არა გყავს მონა ჩემზედ ერთგული პირად ქვეყნისა...
— არა გყავს მოღალატე ჩემზედ კარგი პირად ქვეყნისა...
ვაჰ თუ ბევრმა გაიგო მეორე და პირველი ვერა!
ნეტავ სულ არ ესმოდეთ!
მაშინ უფრო მეტყველი იქნებოდა ენა ჩემი...
ეხლა კი... ვაჰ, რათ არ ძალმიძს დუმილი, მარად დუმილი...

V

მეტი აღარა მცალიან!
მხოლოდ ერთხელ კიდევ მოგიბრუნდები, მეგობარო ჩემო, რომ გამხილო უკანასკნელი სიტყვა ჩემი:

შენა ხარ ის ადამიანი, რომელთანაც კიდევ შემიძლიან ერთი-ორი სიტყვის თქმა, ვიდრე სამარადისოდ დადუმდებოდენ ბაგენი ჩემნი.
შენ იყავ ის ერთად-ერთი გულითადი, რომელსაც კიდევ ვენდობოდი ცხოვრების გზათა სავალზედ. მაგრამ სწორედ შუა მოგზაურობის დროს დამეცა მეხი და შენს ფიცშიც შემეპარა ღალატი...
მე აღარ შემიძლიან!...
გამშორდი!
გამშორდი ჩემი სიყვარულის იქით!
მე მენატრება მარტოდ სიარული ცხოვრების ოდაბნოში... და თან მაჟრჟოლებს...
მე ვფიქრობ აბრეშუმოვან თმებზე, ჟღჟუნა თვალებზე, მაგრამ მაინც ვკითხულობ:
— ვინ მანუგეშებს?..
მე მესხება მარტოდ სიკვდილი...
შენ გასწი შორს, მეგობარო! აღარ მოიხედო ჩემსკენ! და თუ ჟამსა განკითხვისას აღმომხდეს ძახილი შველისა, არ მოიხედო!
არ მოიხედო!...
მე ვყივი არა საშველად, არამედ — ჩემდა სავალალოდ, ჩემდა ვაგლახად, რომ მარტო ვშთენილვარ ამა სოფლად, თვით საფლავამდის...
არ მოიხედო!
თუ გიყვარვარ, დამტოვე მარტოდ!
ცხოვრებაში მე მიტომ მენატრებოდა მეგობარი, რომ სიკვდილის ჟამს დავეტოვე მარტოდ მარტო და ამითი ერთხელ მაინც აღვსულიყავ გოლგოთაზედ წამების უკანასკნელი წუთით სიცოცხლისა.
და განშორებული სიყვარულის მკლავებს... მოწყვეტილი ცხოვრებას... განდგომილი თვით მეგობრისაგან მაინც ვგმინავ დაკარგულივით:
— სადა ვარ? სად?..
ნუ თუ ეგრე ძნელია წუთი უკანასკნელი!
ნუ იჭქირები უკან, მეგობარო! მე აღარ გიწოდებ!
ხელები გამომიპყრია, მაგრამ — ენა სდუმს და შენ მიიღევ ხელთა გაპმოყრობა ჩემი —
შენდამი ვედრებად, უკანასკნელ ვედრებად:
გამშორდი!.... გამშორდი!.....
მაგრამ მაინც არა ვარ მარტო!
მოვიშორე ყველაზედ გულითადი მეგობარი,
და ვერ გავსილდი ყველაზედ ვერაგ მტერს:...
ჩემი ფიქრები ისევ თან მსდევენ...
ოო, თავო ჩემო!..
თავო ჩემო!..

ლევ. მეტრეველი.

საქართველოს მასკარადში

ციკლი: „ქუთაისი ნიღბებით“.

ქუთაისის მასკარადში სამი გრანდიოზი ნიღაბი დაქრის.
ესენი მთელი ქუთაისის განხორციელებაა:
მისი სიბრძნის—სიცრუის, მეცნიერების—ყბედობის, ხელოვნების—მასხრობის, მრეწველობის—ჯიბგირობის.
ესენი პირველები არიან და ქუთაისი, რომ ოფიციალური მასკარადი იყოს—პრიზებით, უსათუოდ ესენი პირველ ჯილდოს მიიღებენ.

პირველი ნიღაბი.

მას ყველგან ნახავდით:
ციხეში, ყაფანზე. ბაღში. სამიკიტნოში.
ნახავთ მოქეიფეს, მოჩხუბარს—მოლაპარაკეს.
ნახავთ ძაღლთა კავლრებით გარშემორტყმულს მ მვიდს, სევდიანს.
შეიძლება თქვენ ის ნახეთ; მოქეიფე ორ ეტლში—ერთში მისი ქუდი დევს—მეორეში თვით უკუღმაზის...
...ეს უწინ იყო..
დ მაშინ ეს უვერტიურა იყო მისი ცხოვრების მეტამარფოზის და იგი მეორე დღეს, უსათუოთ, ციხის ს ტუმარი შეიქმნებოდა.
და ასე ისკვნებოდა მისი ცხოვრება. ახლა იგი თავისუფლათ დაიარება ქუთაისის ქუჩებზე:
სერიოზული, საქმიანი..
იშვიათათ ლაპარაკობს.
მე იგი ვნახე ერთს სამიკიტნოსთან გაიარა ვირით.. და როცა მას ღვინო მიაწოდეს—იგი ვირს დაალევინა.
სიცილი დაიწყეს.
შეიძლება ეს შემთხვევა დიდი სიმბოლო იყო ქუთაისისთვის...
მაგრამ სიცილით გადაატარეს...

მეორე ნიღაბი.

მოწერილი ჯოხით, რომელზედაც ყოველნაირი წარწერაა:
ამ ჯოხით იგი თამამათ მიაბიჯებს. მაშინ იგი ქუთაისის ანაკრეონია.
ყველას ჭკუას არიგებს: ყველაფერზე ლაპარიკობს ლექსობს, შაირობს. ყველას იგი სულელი გონია—მისთვის კი: მთელი ქუთაისი სულელთ გროვაა. ქუთაისი მას უყურებს და უხარია, რომ იგი მისი ნიღაბის ამოწურვაა.
იგი ქუთაისის აღფრთოვანებაა,
მისი სიტყვაწყობილი შაირი.
ის ქუთაისის გრძელი ენაა.
მისი ჯოხი—ქუთაისის ჭკუის სიმდიდრე.
მას მთელი ქუთაისი ეცინის, მაგრამ თვის ჭკუას მას აძლევს. და მან ქუთაისის „ბრძენთა ჭკუა“, ერთ ჯოხზე მონოგრამებათ რომ ვერ დაატია—მეორეზე გადაიტანა.

მესამე ნიღაბი.

„ორი შაური.. სამი შაური.. გექნებათ მასესხეთ“.
ხშირათ გაიგონებთ..
და ეს ხომ მთელი ქუთაისის ამოძახილია, სადაც ყველა—და ყველაფერს სესხულობენ და უკან არასოდეს არ აბრუნებენ.
„სამი შაური გექნებათ, მასესხეთ“ და გვერდს ჩაგირბენს..
ქუთაისს უხარია ეს და იცინის..
სიამოვნებით აძლევენ: ზოგს გონია ამით საკუთარ ვალს იხდის, ზოგს: მეტი არ თხოვონ...

ვინ არიან ეს ნიღაბები:
პირველი—ღადო.
მეორე—სიმონ ჯღამაძე.
მესამე—ალფეზა.
პირველმა—ქუთაისის შეზარხოშებული ჭკუა ვირს დაალევინა.
მეორემ—ქუთაისის სიბრძნე მონოგრამებათ ჯოხებზე გადაიტანა.
მესამემ—ორ-სამ შაურობით ისესხა და ზურგზე მოიკიდა.
ქუთაისს—კი უფლება მისცეს სიცილის, მაგრამ ვინ—ვის ეცინის, ეს ჯერ კიდევ ნიღბით დაიარება.

დია ჩიანელი.

მგოსანი იოსეფ გრიშაშვილი

უკანასკნელი სურათი

ოზაკის ფოტოგრაფია

სველი საღამო

სველი საღამო შენს ნესტიან თვალებს მაგონებს.
დავწვები ჩუმად და დაუცდი მზის ქალბატონებს.

ვით ცრემლი წამწამს—ცამ ბალახებს აჰყარა ხაო.
ით შენი თვალი—ეს ტყეც გახდა ღვთის სამრეცხაო.

სველი საღამო ძილს მგოსნისას უფრო ატკბილებს.
დავწვები ჩუმად და ვიხილავ მთვარის თეთრ კბილებს.

ნერვის სიჭლექე მიმიყუჩდა ძარღვებში ოდნავ.
დავწვები და მეც მომბეზრდება ყველაფრის ცოდნა.

ძვირფასო! მახსოვს, შენც სტიროდი როცა წახველი.
და მე კი დღესაც, მე, მყობადის გადამლახველი,

მერვედ ვიგონებ ამ საღამოს, ამ ნაძვებს, ამ თვეს,
მერვედ, ძვირფასო, რაც ეგ თავი მერვედ წამართვეს.

მე ვფართხალებდი, ვით საფანტით შემკრთალი ჩიტი—
შენ კი წამწამებს გიმძიმებდა თვალ-მარგალიტი.

წვებოდა ნისლი, ნისლი მთების შესამოსველი
და ჩვენს თვალებში იზრდებოდა საღამო სველი.

ი. გრიშაშვილი.

წაღვერი.
12 სექტ. 19 წ.

სინანული.

გამაცვნეს. ხელი მას ქონდა ვით ღადარი.
და შემდეგ ვერ ვნახე, ვერ შევხვდით ერთმანეთს.
მარტოა, თუ სხვასთან, არვიცი სად არი.
ქუჩაში მათხოვარს ვაჩუქებ ერთ მანეთს.

შუადღეა. მსურს ვნახო. მივდივარ მის სახლან.
ფანჯრები ღიაა, არა აქვს ფარდები.
შევხედავ, ოთახში თამაშობს თეთრ ძაღლთან.
და, კარებს გავაღებ. ხელში მაქვს ვარდები.

გამოდის. არ ეცვა არც კაბა, არც წინდა.
დარცხვენით ძლივს მკითხავს: ვინ გნებავს! ვინ გინდა?

ვკანკალებ. რა უთხრა!—ამის ფიქრს უნდები.
და უხმოთ, გალახულ ბავშვივით ვბრუნდები.

ღამდება. მარტო ვარ. არაყით დავთვრები.
ქუჩაში მეძავი ჩემს ხელებს ემთხვევა.
მპატიჟობს. მივყვები. მერევა დავთრები...
ვშორდები... მაღონებს ასეთი შემთხვევა.

და ვდარდობ. ვფითრდები, ვით ჟანგით ზარადი.
ო, ღმერთო ძლიერო! წმინდაო მარიამ!—
მომეცი სიმხნევე, სიმშვიდე მარადი,—
ასეთი ცოდვილნი მრავალნი არიან.

პორტრეტი.

(სონეტი).

ვით მონაზონი დაიარება,
ჭრელი თვალებით ყველას იმონებს.
აღარ წამს ღმერთი, არც ზიარება.
უბეში მალავს მორცხვათ ლიმონებს.

სანატრელ წარსულს ხშირათ იგონებს.
უმძიმს სურვილის აღიარება.
ღამე ბალიშებს ვნებით იკონებს,—
შავგვრემანს ჰშვენის სახის არევა.

სქელ სარკის ნატეხს ჯიბით ატარებს.
გამოდის ბაღში მუდამ ნაწირვებს.
ერთი შეხედვით ევნუხს გადარევს.

ო! მისი ხმა გავს წყნარ თარის დუდუნს.
როცა სევდა ძლევს სურდო ნაჭირვებს,—
ვით მამაკაცი ეწევა თუთუნს.

ალუდენ გვეტაძე.

ერთი დღე ტყეში

1. პოეტი მეფე, პოეტი ბავში,
გამიყოლიე დაბინდულ გზაზე.
მე მკლავი მჭონდა შენს სურნელ მკლავში.
ვფიქრობდი ჩუმად. ვინ იცის რაზე!

ხეებს ჩაექრო მთვარე ბურთული.
მე კვლავ მესმოდა სონატა მთვარის.
მაგ თვალთ სისოვლე, თმა დაბურდული,—
ჩემ ცოდვილ ბაგის, ხელების არის!

იყო შრიალი, ფოთოლთა თქეში.
გრიგალმა ხმებიც გაიტენორა.
ვიყავით სტუმრად ერთი დღე ტყეში:—
მე და ლენორა, მე და ლენორა!..

2. ზღაპრული თვალი ვიცი ჯადოა
და ჩავიძირე მეც შენს ჯადოში.
ახლა ტყე ჩვენთვის ელდორადოა,—
უნდა ვიცხოვროთ ელდორადოში.

და ტყის კარვები ჩვენთვის მწვანდება:
ნაზი, სპეტაკი, თავშენაბელი.
მაგრამ ხეებზე რად მელანდება
ყელსახვევების უცხო საბელი?!.

ახ სახჩობელა! ყვითელ ნეშოზე
პოეტის კუბოს ვხედავ ზმანებით...
შენს ხელის ნაცვლად უნუგეშოზე,
მე ვტირი ცისფერ ხელთათმანებით!

3. მშვიდობით! გსტოვებ! მივდივარ მთაში!
დიდ შუადღისას მე ავალ მთაზე.
შენ სად იქნები ლენორა მაშინ?—
რისთვის არ ვიცი, ახ რისთვის, რაზე!..

ჯვარს ვადაიწერ ნორჩ თავხურათი,
თუ დაგეჭდობა მშვიდათ მკლავები?!.
მე ვიცი მხოლოდ ერთი სურათი—
პოეტის სულში ნასაფლავები!

როს მზე ამოვა მაღალ გორასთან,
ის იტყვის ალბათ მხურვალე მზეში:
ვიყავ ბედნიერ ჩემს ლენორასთან—
ერთი დღე ტყეში! ერთი დღე ტყეში!

4. მინდოდა: ცრემლი, ზეცა... დიდება...
და მე წვალებით ავედი მაღლა.
დღეს სინანულად მაქვს დარიდება,
დღეს დიდებისას ვიგრძენი დაღლა!..

სად ხარ ლენორა! მარტო ვბერდები!
გეძახი ახლა... გეძახი გვიან!..
მე შენს ჩვენებას კვლავ ვაჩერდები
და საოცრებას თვალები ღვრიან!..

მისმინოს ლანდმა ლოცვა ზენარი.
ამაოება თავს დამგრიგალობს...
მოდი ლენორა! მოდი ლენორა!
მკვდრეთით აღდგომას სული გიგალობს!..

აგვისტოს 29. **შალვა კარბელი**

სამხატვრო მატიანე

ლეონარდო—და—ვინჩი.

(გარდაიცვალა 2 მაისს 1519 წ.)

წელს 2 მაისს 400 წელიწადი შესრულდა რაც საფრანგეთში გარდაიცვალა გამოჩენილი იტალიელი ხელოვანი ლეონარდო და ვინჩი.

ლეონარდო და ვინჩი დაიბადა 1452 წელს ემპოლის ახლო ციხე-კოშკში ვინჩში. ვინაიდან მას ბავშობაშივე არაჩვეულებრივი ნიჭი აღმოაჩნდა ამისათვის მისმა მამამ ლეონარდომ გაგზავნა იგი მხატვარ ვეროკიოსთან, რომელიც იყო მისი პირველი მასწავლებელი და რომელთანაც დარჩა სანამ ოცი წელიწადი შეუსრულდა. უმთავრესი ნაწილი თავისი ცხოვრებისა მან გაატარა ფლორენციაში, მილანში და რომში. 1516 წელში ფრანცისკ I-მა მიიწვია იგი საფრანგეთში, სადაც ამბუაზის ახლო იგი კლუში გარდაიცვალა. ლეონარდო და ვინჩი მიქელ ანჯელოსთან და რაფაელთან ერთათ ერთი უმთავრესი წარმომადგენელთაგანი იყო მე XV საუკუნის დამლევის და მე-XVI საუკუნის დასაწყისის იტალიის ხელოვნებისა ანუ აღორძინების ხანისა. ლეონარდო და ვინჩი, რომელიც შემოქმედების მხრივ მხატვრობაში არაფრით ჩამოუვარდებოდა მიქელ ანჯელოს და რაფაელს, ამავე დროს იყო ნიჭიერი მოქანდაკე, მუსიკოსი, ხუროთმოძღვარი და თავისი დროის ინჟინერიც. გარდა ამისი მისი ხელთნაწერები, რომელთა გარჩევა დღესაც სწარმოებს, გვიმტკიცებენ რომ ის ყოფილა ცნობილი მათემატიკოსი, ბუნების-მეტყველი და ფილოსოფოსი, მაგრამ ამ ყოველმხრივ, ასე ვსთქვათ, ზღვა ცოდნასთან შედარებით ძლიერ გაიზარდა და მედიდურათ და ურყევათ ვით კლდე დგას დიდება მის სამხატვრო გენიოსობაზე. 400 წელიწადი გავიდა მის გარდაცვალებიდან და მიუხედავათ იმისა რომ ლეონარდოს საუკეთესო ქმნილებებს სამწუხარო ბედი ხვდა, მაგრამ მაინც ის ნაწარმოებები, რომელნიც დღემდის შეინახა, მოწმობენ, რომ შესაძლებელია არავინ ყოფილა ისე, როგორც ის, დასაჩუქრებული უმწვერვალეს ხარისხამდე მისულ გრძნობით, ჰარმონიით, გამომეტყველების ნიჭით და გრაციით.

„რათა შეესწავლა გრძნობათა და ვნებათა გამომეტყველებანი, ლეონარდო დადიოდა ადგილებში, სადაც მრავლათ იყო ხალხი, სადაც დუღდა ადამიანთა მოღვაწეობა და წიგნაკში შეჰქონდა ყოველივე, რაც მას ხვდებოდა. სასჯელის ადგილამდის მიჰყვებოდა იგი ტუსაღებს რათა მას წვალებათა და უკიდურეს სასოწარკვეთილებათა გამომეტყველება ჩაებეჭდა. ის თავის სახლში იწვევდა გლეხებს და უამბობდა მათ სასაცილო რამეებს, რათა შეესწავლა მათი სახის კომიკური გამომეტყველება“ (Винчи—В. Чуйко. Энцик. Слов. Брокгауз и Эфрон. Кн. 12. стр. 512, изд. 1892 г.)

ასეთ დაკვირვებათა შედეგებათ ლეონარდო და ვინჩიმ ხელოვნებას საუკუნოთ მისცა თავისი ცნობილი სურათები: „სერობა“, „მონა-ლიზა ჯიოკონდა“ და მრავალი სხვა. ეს ზოგიერთ ნახევრათ თითქმის გაფუჭებული სურათები, რომელმაც ჩვენ დრომდის მოაღწია, მაინც ლეონარდო და ვინჩის ნიჭის დიდ სიძლიერეს იძლევიან. აი რას ამბობს ცნობილი მეცნიერი ბაიე ლეონარდო და ვინჩის ცნობილ სურათის „სერობა“-ს შესახებ: „მისი ნახევრათ გაფუჭებული, რამოდენიმეჯერ განახლებული „სერობა“ თავის აწმყო სანახაობით გვაძლევს მხოლოდ სუსტ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა იყო იგი დასაწყისში, მიუხედავათ ამისა რამდენი სილრმე და გარმონიაა

ამ უძლიერეს კომპოზიციაში, რამდენი სხვადასხვანაირობაა მასში წარმოდგენილ მოციქულთა ფიგურათა ექსპრესიაში". (იხ. ბაიეს „Очерк исторіи искусств" გვ. 151). ავიღოთ მისი სურათი „მონა-ლიზა", ყველასათვის „ჯიოკონდა"-თ ცნობილი, რომელმაც მის გატაცების გამო ლუვრიდან ამ რამდენიმე წლის წინათ დიდი აურზაური გამოიწვია მთელ მსოფლიოში.

„რამდენიც რომ არ სწერონ მონა ლიზაზე, რამდენიც არ ჩასწვდენ პსიქოლოგიურ ანალიზის წვრილმანებში, მის გამცინავ გამომეტყველების საიდუმლოება სამუდამოთ დარჩება გამოუცნობელი" — ამბობს ს. ისაკოვი (იხ. მისი „Вѣчное в искусствѣ" გვ. 8). ლეონარდო და ვინჩის გავლენა დიდი იყო. მას მთელი გროვა წამბაძველებისა გამოუჩნდა. თვით რაფაელმა განიცადა ეს გავლენა ჯერ კიდევ ახალგაზდა წლებში. მილანში ლეონარდოს ირგვლივ შეიქმნა ნამდვილი ლომბარდიის სკოლა, რომელიც რელიგიოზურ ცხოვრების სიუჟეტებს ანსახიერებდა. ამ სკოლამ მხოლოდ რამოდენიმეთ შეინარჩუნა ამ დიდებულ მოხელის ზოგიერთი თვისებანი.

ლეონარდოს ნამდვილ სურათთა შორის, როგორც ამას თვით გამოჩენილი ხელოვანები სცნობენ, უნდა ჩაითვალონ შემდეგი სურათები: „სეროობა" (მილანში), „ღვთის მშობელი და წმ. ანნა", „იოანნე ნათლისმცემელი", „ჯიოკონდა", „ბაქუსი", „Vierge aux rochers", „ლუკრეცია კრაველლის პორტრეტი" (ლუვრში); „Vierge à la carafe" (ვატიკანში), „მედუზას თავი", „მოგვების თაყვანისცემა" (უფიციაში), „მადონა ბავშით" (ვაპრი ვილლა მელცში), „მადონა ლიტ", „წმ. ოჯახი" და „ქალის პორტრეტი" (ალბათ ლუკრეცია კრეველის, ერმიტაჟში) და აგრეთვე სხვა მრავალი წვრილი ნახაზობანი, რომელნიც მილანში ინახება ამბროზიოს წიგნთსაცავში.

სრული 400 წლის წინათ 1519 წელს მაისში ლეონარდოს სული განშორდა მის სხეულს, მაგრამ ლეონარდო არ მომკვდარა და არასოდეს მოკვდება. ის სცოცხლობს 29
და იცოცხლებს ყოველ ადამიანში, ვისაც უნახავს მისი დიდებული ნაწარმოებები და რანაირათაც რომ არ მიმდინარეობდეს მხატვრობის ისტორია, ლეონარდოს შიგ ყოველთვის ერთი გამოჩენილი ადგილი ეჭირება.

ნ. თუმანიშვილი.

† დათიკო ლეჟავა.

9 აპრილს დამის 12 საათ. 1919 წ. თავის ბინასთან, გრიბოედოვის ქუჩაზე ბოროტგამზრახველებმა მოჰკლეს ახალგაზრდა მომღერალი დათიკო ლეჟავა. დათიკო სამაგალითო ამხანაგი და მეგობარი იყო კერძო ცხოვრებაში; იგი წელს ათავებდა კონსერვატორიის სიმღერის კლასს, როგორც საუკეთესო მომღერალი არაჩვეულებრივი სიმძლავრის და ტემბრის სილამაზის მქონე ბანი.

ქართული საზოგადოება მას იცნობდა — იგი ხშირათ გამოდიოდა ქართულ კლუბში და კიდევ სხვა საკონცერტო ესტრადებზე, სადაც ასრულებდა თავის ნათარგმნ იტალიურ საოპერო სიმღერებს. კონსერვატორიაში მოწაფეების კონცერტებზე მისი სიმღერა იპყრობდა საერთო ყურადღებას...

მაისში იგი პირველათ უნდა გამოსულიყო სცენაზე საოპერო კლასის დამზადებულ ოპერა „რიგოლეტო"-ში სპარაფუჩილის პარტიაში...

ქართულ საოპერო ხელოვნებას მოაკლდა საუკეთესო მომავალი მომღერალი.

ლევ. მ.

ქუთაისის სამხატვრო საზოგადოება.

ქართულ პლასტიკურ ხელოვნებას (მხატვრობას, ქანდაკებას და ხუროთმოძღვრებას) ჩვენმა წარსულმა დაუძლეველი დაბრკოლებანი დაუყენა წინ და მისი მსვლელობა დიდი ხნით შეაჩერა. წარმოიშვა ხელოვნებისათვის ერთნაირი მკვდარი მანძილი. შესწყდა ხელოვნებითი შემოქმედება, წარსული ხელოვნების ნაშთებიც დავიწყებას მიეცა და ქართველობამაც დაჰკარგა მხატვრული ნაწარმოების სიყვარული და განცდის უნარი.

დღეს ეს ხანა თავის დასასრულს უახლოვდება. სამოქმედო ასპარეზზე გამოდიან ახალი მხატვრული ძალები და საფუძველი ეყრება ქართულ ხელოვნების აღორძინებას. ხელოვნების ზრდა-განვითარება განსაკუთრებულ პირობების არსებობას მოითხოვს. საჭიროა სამხატვრო სასწავლებლები, სტუდიები, გამოფენები; საჭიროა ხალხის ხელოვნებითი მოთხოვნილების გამოღვიძება. ქართული თეატრი, წიგნის-გამომცემლობა, ხელოსნობა, ქალაქთმშენებლობა, მრეწველობა; მთავრობა თუ თვითმართველობა,—ყველა ღრმად დაინტერესებულია ხელოვნების განვითარებით. მაგრამ ეს ინტერესი ჯერ მთვლემარე ძალას წარმოადგენს და ბევრი უკლია, სანამ შეგნებად და მოთხოვნილებად გადაიქცეოდეს. მეორე მხრით არც მხატვრული ძალებია ამჟამად საკმაოდ განვითარებული, რომ უფრო დიდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეეძლოს.

მხატვრულ ძალების ნაკლებობა და მხატვრულ მოთხოვნილების განუვითარებლობა,—ეს ორი მომენტი ახასიათებს ჩვენი ხელოვნების დღევანდელ მდგომარეობას. აუცილებელია ორივე მიმართულებით მუშაობის გაჩაღება.

ცხადია, რომ ასეთი მუშაობა შეიძლება მხოლოდ ძალთა შეკრება-შეკავშირებით. პირველ მაგალითს ასეთის შეკავშირებისას წარმოადგენს ქართველ ხელოვანთა საზოგადოება, რომელიც ამ სამი წლის წინათ თფილისში დაარსდა.

ქუთაისი თფილისთან შედარებით ჩამორჩენილია. მით უფრო საჭიროა აქაც ასეთი საზოგადოების არსებობა, რადგანაც პოტენციალური მხატვრული ენერგია საკმაოდ მოიპოება. საზოგადოების დაარსების იდეა თვით ქუთათურ მხატვართა წრეში დაიბადა. წინასწარ კრებებზე გადასწყდა შეთანხმებით ყველა უმთავრესი საკითხი. საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელიც შესდგა მიმდინარე წლის ივნობისთვის 10-ს რაიმე განსაკუთრებით ყურადსაღებ მომენტებს მოკლებული იყო. კამათი არსებითად საორგანიზაციო საკითხების გარშემო ტრიალებდა. დამსწერთაგან წარმოითქვა რამდენიმე აზრი, რომელნიც კრებამ მისაღებად სცნო და მათი განხორციელება საზოგადოების საბჭოს მიანდო. საბჭო თერთმეტი წევრისაგან შესდგება. თავმჯდომარედ არჩეულია ჩვენი ცნობილი ბელეტრისტი დავით კლდიაშვილი. თუ რამდენად ნაყოფიერი იქნება საზოგადოების მოქმედება, ამას მომავალი გვიჩვენებს. საზოგადოების მიმდინარე საქმეთაგან აღსანიშნავია სამხატვრო სტუდიის დაარსება, რომელიც გაიხსნა ივნისის 24-ს და დროებით მოთავსებული იყო რეალურ სასწავლებელში.

მ. შავარდნაძე.

შიო არაგვისპირელის იუბილე.

რაღაც უცნაურობით, ახალ საქართველოში, ყველაზე ნაკლები დაფასება ერგო ქართველ მწერალს, იქ სადაც ეს დამსახურებული იყო, პირიქით მომხდარიყო.
ეს მიზეზები გამოდიან პარტიულ მაშტაბიდან თუ დაუდევრობიდან, ჩვენთვის მეტად სამწუხაროა.
ამ გარემოებით ძლიერ დაჩრდილულად ჩატარდა წარსულ თვეებში გადახდილი შიო არაგვისპირელის იუბილე.
საზეიმო დღეს, საცა უნდა თქმულიყო საზოგადოებისაგან წრფელი სამადლობელი სიტყვა ბელეტრისტის მისამართზე,—ჩვენ ვნახეთ უმართლო დუმილი...
საზოგადოებაზე უფრო გაცილებით დამნაშავეა მწერალთა კავშირი, დღესასწაულის ჯეროვანად მოუწყობლობის გამო.
აქ მთავრობასაც ეკუთვნის მათრახები.
მეტი თავაზიანობა და პატივისცემაა საჭირო მათ წინაშე, რომელნიც ათრთოლებულ ხელით ანთებდენ ადრევე სამშობლოს მღვრია ცაზე დღევანდელ ვარსკვლავებს.

ვ. ბარნოვის იუბილე.

9 გიორგობისთვეს შესდგება დამსახურებულ მწერლის ვ. ბარნოვის 30 წლის იუბილე. 31
ვ. ბარნოვი ჩვენს მწერლობაში მართლაც იშვიათი პიროვნებაა, რომელიც უხვად დაესესხა საქართველოს მატიანეს.
დღეს უსათუოდ ყოველი ჩვენთაგანი საოცრად ჰგრძნობს ქართულ რომანის მოთხოვნილებას; არის წყურვილი ნახო თავის თავი ნაცნობ მარმარილოში ასხეულებული; მაგრამ ხელმარჯვე ოსტატებმა დაიგვიანეს...
გახურებულ ლოდინში წარსულის სარკით გამოდის ვ. ბარნოვი.
მის ნაწერებში არის უკან მიხედვა, წინაპრებისკენ და ძვირფას ჯაჭვით გადაბმა ახალთან, თავისებურ, თუმცა მძიმე მანერით.
საჭიროა დღესასწაულს წინ უსწრებდეს ბარნოვის რამოდენიმე ახზულების გამოცემა, რომელიც დააახლოებს მანძილს მწერალსა და საზოგადოებას შორის.
ვ. ბარნოვი ისეთი დიდი მწერალია, რომ მისი იუბილე უნდა გახმიანდეს მთელს საქართველოში!

შ.

შემომწირველთა სია:

300 მ. ი. მოშიაშვილი.
250 მ. კ. გელაზარიშვილი.
200 მ. ს. ბათმანიშვილი.
100 მ. მ. აბდალაძე.
60 მ. დ. აკოფაშვილი.
50 მ. ი. დათებაშვილი, გ. ალიბეგოვი, დ. ქებაძე, ბაგრატიონი, მელია.
25 მ. x, თ. გრიგოლია, შ. ხითაროვი, ვ ბალანჩივაძე, მ. ღლონტი.
20 მ. ა. ნემსაძე, ა. და ე. თუმანიშვილები.
15 მ. ლ. ქუთათელაძე, გრ. ცხადაძე.
10 მ. ნ. თუმანიშვილი, სტ. აკოფაშვილი, **, ამ. კვირიკაძე, ა. ნიკოლეიშვილი, მ. პ. კოსტანოვისა. ი. ბეთანელი, დ. სადრაძე, გ. მიქელაძე, ა. ჭუმბურიძე, ე. გალდავაძე, დ. ფეიქრიშვილი, მ. აგიაშვილი, ვ. ფუთურიძე, ა. იშხნელისა, კ. ქუთათელაძე, ს. №,
5 მ. თ. ფანჯავიძის ასული, ვ. გორგიძის ასული, ელიგუდა, ს. ჯაყელი, ტ. ჯაყელის ასული, ნიკოლავა და ვართანოვი, ნ. იაკობიშვილი, გრ. აბაშიძე, ნ. მიქელაძე, ბ. მჭედლიძის ქალი, ა. ერიქოვი, დ. კეჟერაძე, ნ. დუმბაძე, დ. გრიგორაშვილი, ვ. ა., ე. ბალანჩივაძე, მ. ქუთათელაძე, ზ. ხარაძე.
3 მ. ე. თვალაძე.

ს უ ლ 1618 მანეთი. რედაქცია შემომწირველთ მადლობას უხდის.

რედაქცია მადლობას უხდის აგრეთვე მოქალაქე ისიდორე კვიცარიძეს, ოომელმაც კანტორა „იმერეთში“ უპროცენტოთ გაჰყიდა რამოდენიმე ასი ნომერი ჟურნალ „თეატრი და მუსიკა“-სი.

ჟურნალი დაიბეჭდა ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სტამბაში ქუთაისში.
ჟურნალს აწყობდა ერმალო მეგენეიშვილი.
ვლიშეებში დამზადებულია სოგომონიანის და სიუტჩიანის ლიტოგრაფიაში თფილისში.

რედაქტორ-გამომცემელი სოსო ასლანიშვილი

რედაქციის მისამართი: ქუთაისი, კათოლიკების ქ. № 44.